ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშილს

ბატონო გიორგი,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 88-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის და ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

დანართი 9 ფურცელი.

პატივისცემით,

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი /რამინა ბერაძე/

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოებისა განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 10 ფურცელი
№ 10/17606 20.10.16წ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის რამინა ბერაძის

2016 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის, თვითმმართველობის შესახებ 88-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ა/წ 1 ნოემბრამდე ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს. ეს ფორმა დემოკრატიის უცილობელი ატრიბუტია, რომელიც უზრუნველყოფს დეპუტატის ანგარიშგებას მანდატის მიმნიჭებელთან.

მე, როგორც ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, ჯანდაცვისა და საბიუჯეტო კომისიების წევრი, წარმოგიდგენთ საანგარიშო პერიოდში ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის ამსახველ მონაცემებს:

- 2016 წლის იანვრიდან - ოქტომბრამდე რაიონის მაცხოვრებლებთან შედგა - 120 შეხვედრა სხვადასხვა ქუჩებზე.
- დეპუტატის ბიუროში მიღებული იქნა 2 000 მოქალაქეზე მეტი. შემოსული წერილების რაოდენობა - 1 500. შუამდგომლობის გარეშე სულ დაკმაყოფილდა - 200 მოქალაქე.
- საკრებულოში მიღებული იქნა - 140 მოქალაქე.

- საკრებულოში შემოსული წერილების რაოდენობაა -1520.

ჩვენი უპირველესი ამოცანა და მიზანი იყო ხალხთან ურთიერთობა, გაგვეგო მათი პრობლემები და დავხმარებოდით ამ პრობლემების მოგვარებაში. ვფიქრობ, ეს ციფრები ყველაფერს ამბობს.

შეხვედრებზე ძირითადად იკვეთებოდა შემდეგი საკითხები: სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირება, მედიკამენტების, ოპერაციებისა და ჯანმრთელობისთვის აუცილებელი სარეაბილიტაციო კურსების დაფინანსება, სამშენებლო მასალითა და შეშით დაკმაყოფილება, სტუდენტებისთვის არსებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის თანხის გადარიცხვები, სახლების გამაგრება, გადახურვა, ეზოებისა და ქუჩების რეაბილიტაციები.

დახმარება გამოეყო სოციალურად დაუცველთა 38 ოჯახს; სამშენებლო მასალით დაკმაყოფილდა 300 ოჯახი; 15 ქუჩაზე დაიგო ავტომობილის სიჩქარის შემზღუდველი ბარიერები; 12 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ქირით; ჩვენი შუამდგომლობით სამარშუტო ტაქსებსა და ავტობუსებზე შეიცვალა მარშუტები მოსახლეობის მოთხოვნისამებრ.

რაიონში სისტემატიურად მიმდინრეობს არსებული სკვერებისა და სპორტული მოედნების აღდგენითი სამუშაოები. აღდგა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 სპორტულ მოედანს და 36 სკვერს.

ჩუღურეთის რაიონში დიდი შრომის შედეგად მოხდა 70 ქუჩის რეაბილიტაცია, სადაც შეიცვალა მიწისქვეშა კომუნიკაციები და დაიგო ასფალტის საფარი 7 ეზოში.

2016 წელს ჩვენი შუამდგომლობით და ბინათმესაკუთრეთა თანადაფინანსებით გამაგრდა 22 ობიექტი, ხოლო დაფინანსდა და 2017 წელს დასრულდება გამაგრების სამუშაოები 35 სახლზე. გადაიხურა 8 შენობა; შეკეთდა 19 სადარბაზოს კარი და ეზოს ჭიშკარი; 15 საერთო სარგებლობის კიბე; 9 აივანი; ასევე შეკეთდა 3 ლიფტი; მოხდა 34 სადარბაზოსა და ეზოს თაღის შეკეთება; წყალსაწრეტი მილები შეიცვალა 8 ობიექტზე; ზემო ჩუღურეთში, ტერასულად განლაგებულ ქუჩებზე - 30 ობიექტზე, მოხდა გრუნტის დამჭერი კედლის ბეტონის კონსტრუქციით გამაგრება. საჭიროდ მივიჩნევთ ამ მიმართულებით განვახორციელოთ ქმედებები. ვაყენებ წინადადებას, თბილისის მერიის წინაშე, რომ მომავალი 2017 წლის ბიუჯეტში აუცილებლად მოხდეს ცვლილებები იმასთან დაკავშირებით, რომ როცა მოხდება სახლის გამაგრება და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, აუცილებლად გათვალისწინებულ იქნეს ფასადური მოწესრიგებაც, რადგანაც შენობის რეაბილიტაცია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს აღნიშნული შენობის სრულ აღდგენას, ასეთ შემთხვევაში გამოირიცხება ერთიდაიგივე ობიექტზე რამდენჯერმე მიბრუნება.

დღეისთვის რაიონში დაფიქსირებულია 6816 სოციალურად დაუცველი ადამიანი (სულ - 2272 ოჯახი) და 41 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ჩვენდა სამწუხაროდ ეს არის ის კონტიგენტი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება და ვფიქრობ, ჩემს რაიონში ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩენთ. ამის ნათელი მაგალითია ჩვენს მიერ განხორციელებული ქმედებები და კერძოდ ის, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა ვიცით, თუ ვის დავეხმაროთ და ვის მივაქციოთ ყურადღება. ეს ქმედებები გამოიხატება აქციებით, დახმარებებით, სხვადასხვა დღესასწაულებსა თუ ჩვეულებრივ დღეებში

ბიუროში ერთჯერად ფულად დახმარებაზე შემოვიდა 345 განაცხადი, მედიკამენტებზე - 260, სოლო ოპერაცია-გამოკვლევებზე – 115. აქედან ყველა დაკმაყოფილებულია.

გარდა ბიუროში შემოსული განცხადებებისა და მათზე სათანადო შუამდგომლობებისა, მყისიერად ვრეაგირებთ მოქალაქეთა თხოვნებზე და პირადი კონტაქტების მეშვეობით ვურთიერთობთ მერიისა და გამგეობის სხვადასხვა სტრუქტურებთან, რის საფუძველზეც მოქალაქეებს ვუგვარებთ მათთვის პრობლემურ საკითხებს. შუამდგომლობის გარეშე სულ დაკმაყოფილდა 200-მდე მოქალაქე.

რაიონში არის 23 კომპაქტურად ჩასასხლებული ობიექტი, 2894 დევნილი (919 ოჯახი) რომელთა ძირითად პრობლემას წარმოადგეს საცხოვრებელი ფართების დაკანონება, გადახურვა, გაზიფიცირება და ასე შემდეგ. რთული მდგომარეობაა პ. სააკაძის#19-ში, სადაც მოსახლეობას მძიმე პირობებში უწევს ცხოვრება. ჩვენი შუამდგომლობით 2017 წელს მოხდება ამ შენობის სრული გამაგრება-რეაბილიტაცია.

სკოლამდელი აღზრდის საკითხი უდავოდ მნიშვნელოვანია ბავშვის - როგორც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. ჩვენს სოციალურად შეჭირვებულ საზოგადოებაში ბაგა-ბაღები წარმოადგენს მოქალაქეთა ნაწილისთვის ბავშვების სწორი ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარების გარანტიას. ამდენად ბაგა - ბაღები, მათი რაოდენობა, კომფორტი, ბავშვთა კვება, აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი მეტად მნიშვნელოვანია და ჩვენი მუდმივი ყურადღების ქვეშ არის. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები ჩიტაიას ქ. #6-ში, სადაც ახალი, თანამედროვე სტანდარტების ტიპის 350 ბავშვზე გათვილილი ბაღი შენდება.

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი წინა ხელისუფლების დროს შეგნებულად დაიხურა მე-3 საჯარო სკოლა და 600 მოსწავლე 10 კილომეტრის რადიუსში გადანაწილდა. დედაქალაქის ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დღიდან განხორციელდა საქმიანი კომუნიკაცია, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ასევე ყველა იმ სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურასთან, რომელთა კომპეტენციაშიც შედიოდა საკითხის შესწავლა თუ გადაწყვეტილების ჩვენი ძალისხმევის შედეგად, იმის გთვალისწინებით, რომ ყველა საექსპერტო დასკვნის საფუძველზე სკოლის შენობა აღდგენას არ ექვემდებარება. ჩვენი დიდი ძალისხმევის შედეგად მიღებულია

გადაწყვეტილება, რომ 2017 წელს მის ადგილზე აშენდება ახალი თანამედროვე სტანდარტების სკოლა.

ჩვენ მუდმივი ურთიერთობა გვაქვს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისინი ეხმარებიან როგორც სოციალურად დაუცველ ოჯახებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. წინასაარჩევნოდ ჩემი დაპირება იყო ის, რომ ამ კატეგორიის მოსახლეობას დავეხმარებოდი მათი პრობლემების მოგვარებაში, რაშიც ხელი შემიწყო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობამ და ერთობლივმა მუშაობამ. ამ ორგანიზაციების დახმარებით, წელს 20 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირს გადავეცით ეტლი, ასევე 12 შშმ. პირს დავეხმარეთ ხელჯოხებითა და სხვადასხვა ინვენტარით.

წინ ბევრი მძიმე და სერიოზული გამოწვევები გველოდება. ჩვენ გამგეობასთან ერთად ჩავატარეთ მონიტორინგი და განვსაზღვრეთ ის პრიორიტეტები რაც უნდა იქნას გათვალისწინებული 2017 წლის ბიუჯეტში.

დეპუტატის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს ხვალინდელი, უკეთესი მდგომარეობის შექმნისაკენ, რისთვისაც მან უნდა გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლებამოსილება. როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, ხშირად ვესწრები რაიონში გამართულ კულტურულ ღონისძიებებს, სამხატვრო გამოფენებს, პოეზიის საღამოებსა და სპორტულ ღონისძიებებს.

2015 წლის 4 ივნისს ფრაქციასთან „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის " ჩემი ინიციატივით შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა მარგარიტა ხიდირბეგიშვილი. საბჭო შედგება თხუთმეტი წევრისგან , რომელიც აერთიანებს თბილისში არსებული ყველა დიასპორის თავმჯდომარეებს. საბჭოს შექმნის მიზანია, თბილისში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მაქსიმალური ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში. საბჭოს ძირითადი მიმართულებებია, მეტი კომუნიკაცია თითოეულ დიასპორასთან, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების ჩამოწათვალი და ადრესატამდე მიტანა, ერთობლივი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვა-ჩატარება და ეროვნულ უმცირესობათა მიერ ორგანიზებული ღონისძიებების მხარდაჭერა, ეროვნული უმცირესობების ჩართულობა გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით შეხვედრები და პრობლემატიკა სოციალურად დაუცველ მოსახლეობასთან (მრავალშვილიანი, მარტოხელა დედები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები და ა.შ) შეხვედრების მომზადება თბილისის სხვადასხვა რაიონში კომპაქტურად დასახლებულ არაქართველ მოსახლეობასთან;

საბჭოს პირველ სხდომაზე განხილული იქნა ის ძირითადი საკითხები, რომელიც აწუხებს ეროვნულ უმცირესობებს, მათ შორის „მეგობრობის სახლის" გახსნის საკითხი, რომელსაც 20 წლის განმავლობაში ითხოვდნენ ყველა ინსტანციაში.

2016 წლის 9 სექტემბერს ფუნქციონირება დაიწყო ,,მეგობრობის სახლმა“ . ამასთან დაკავშირებით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა სხდომა, სადაც საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ინფორმაცია მივაწოდეთ მიმდინარე პროცესზე. გარდა ამისა, სხდომაზე, საბჭოს ხელმძღვანელმა, საბჭოს წევრებს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - „თბილისი“-ს შესახებ ინფორმაცია გააცნო. დიასპორის წარმომადგენლებმა კონკურსში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს და „საპატიო თბილისელის“ ნომინაციაში საკუთარი კანდიდატურის წარდგენის ინიციატივით გამოვიდნენ. მათი განცხადებით, ეს ადამიანი ეროვნებით ქართველი არ იქნება, თუმცა ის იქნება თბილისში დაბადებული და გაზრდილი ადამიანი, რომელსაც ბევრი აქვს გაკეთებული თავისი მეორე სამშობლოსთვის - საქართველოსთვის.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს მერიის კონკურსის „ჩემი თბილისობა“-ს შესახებ. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი ქალაქის ამ დღესასწაულის მიღმა დარჩენას არ აპირებენ და დღესასწაულში აუცილებლად ჩაერთვებიან.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე საუბარი ასევე შეეხო საკრებულოსა და მერიაში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების სტაჟირების საკითხს. ამასთან ერთად, სომხური დიასპორის წარმომადგენელმა გენრიხ მურადიანმა საბჭოს წევრებს, ასევე მიაწოდა ინფორმაცია სომხურ თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესახებ, რომელთა დაწყებაც სწორედ საკოორდინაციო საბჭოს ძალისხმევითა და თანადგომით გახდა შესაძლებელი. მუშაობა ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს.

მე, როგორც მჟორიტარი დეპუტატი, სისტემატიურად ვესწრები სხვადასხვა ღონისძიებებს, ებრაული კულტურის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას, ლიტვური სათვისტომოს წიგნის პრეზენტაციას .

აპრილის თვეში ჩუღურეთის რაიონში, კიევის ქუჩაზე ქართულ-უკრაინული კულტურული ღონისძიება „უკრაინული გაზაფხული კიევის ქუჩაზე“ გაიმართა. ღონისძიება თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის რიმა ბერაძის, ფრაქციასთან არსებული ეთნიკურ უმცეროსობათა საბჭოს, ასევე საქართველოში უკრაინული დიასპორისა და უკრაინის საელჩოს ერთობლივი ინიციატივით გაიმართა. ღონისძიებას, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიხეგაშვილი, თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს წევრები, ასევე დედაქალაქის მერი დავით ნარმანია და მერის მოადგილეები ესწრებოდნენ. ღონისძიება, ქართველი და უკრაინელი მხატვრების მიერ კედლების მოხატვით დაიწყო.

ფესტივალის ფარგლებში, სტუმრებმა საქართველოში მოქმედი უკრაინულ-ქართული ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი გამოფენა დაათვალიერეს. კულტურულ ღონისძიებაზე უკრაინული ღვინის დეგუსტაცია და უკრაინული სამზარეულოს გაცნობითი ტურიც მოეწყო. აღნიშნული ღონისძიება ორი ერის მეგობრობისა და პარტნიორობის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ფესტივალი სიმბოლურად, წაბლის ხეების დარგვით დასრულდა, რომელშიც მონაწილეობა, ჩუღურეთის რაიონის მოსახლეობასთან ერთად, თბილისის საკრებულოს და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მიიღეს.

კულტურულ ღონისძიებას ჩუღურეთის რაიონის გამგეობის, უკრაინის საელჩოსა და საქართველოში უკრაინის დიასპორის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

რაც შეეხება პროექტს „ახალი ტფილისი", მოგეხსენებათ, რომ დასრულდა სამუშაოები. პროექტმა მოიცვა თბილისის ძველი უბნების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, რაც ნიშნავს ქალაქში ახალი მასშტაბური საზოგადოებრივ - რეკრეაციული სივრცეების გაჩენას, ახალი ტურისტული მოედნების-გალერეების მოწყობას, ისტორიული უბნების არქიტექტურული იერსახის შენარჩუნებასა და განვითარებას!

მიმდინარეობს ღვინის აღმართისა და გუდიაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რესტავრაცია-რეაბილიტაცია, ასევე დავით აღმაშენებლის გამზირის 45 მისამართზე, კერძოდ მარჯანიშვილის მოედნიდან ზაარბრუკენის მოედნამდე არსებული ტერიტორიის და მშრალი ხიდის მიმდებარე არეალის სრული რესტავრაცია-რეაბილიტაცია.

პროექტის ფარგლებში მთლიანად განახლდა ყველა ტიპის საკომუნიკაციო და საინჟინრო ქსელები, მოპირკეთდება ქუჩები, დამონტაჟდა ახალი განათებები და მანიშნებლები. შეიცვლება გამზირის საფეხმავლო და სამანქანო სავალი ნაწილის საფარი. მოეწყო გადასასვლელები, ჩატარდა გამწვანების ღონისძიებები. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია სრულად იქნა ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის!

- ფრაქციის შესახებ

ფრაქცია „ ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოსთვის" შედგება 19 წევრისგან, აქედან :

ფრაქციის შემადგენლობაში შედის - 19 დეპუტატი, მათგან:

მაჟორიტარი დეპუტატი - 12

პროპორციული სიით - 7

კომისიის თავმჯდომარე - 7

თანამდებობის პირი - 10

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ შეიქმნა საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა უმრავლესობის მიერ უფლებამოსილებების ეფექტურად განხოციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით. სწორედ ახალი მოწვევის მიერ იქნა დანერგილი მოსახლეობასთან ყოველკვირეული შეხვედრები. თორმეტივე დეპუტატი ყოველ ოთხშაბათს ხვდება საკუთარი რაიონის მცხოვრებლებს ისმენს მათ პრობლემებს და საკუთარი კომპეტეციის ფარგლებში ცდილობს დაეხმაროს თითოეულ მათგანს.

ჩვენი ფრაქციის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს:

- საკრებულოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობა;
- დემოკრატიული თვითმმართველობის სისტემის ჩამოყალიბების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების შექმნა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა და საჯაროობა,
- ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის და საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე კონტროლი ;
- მუნიციპალური ჯანდაცვის და სოციალური პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა;
- სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

2016 წელს 9 თვის განმავლობაში ფრაქციამ 9 სხდომა ჩაატარა, რომელზეც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

#-1

1. უფასო სასადილობის ირგვლივ შექმნილი პრობლემების გადაჭრის გზების პოვნის შესახებ მსჯელობა.

#-2

1. ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წ. ანალიზი, 2016წ. სამუშაოების დაგეგმვა, შესყიდვების წარმოების ეფექტურობა და მათი სწორი მართვა და მონიტორინგი.

2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-3

1. მთაწმინდის, დიდუბის, ჩუღურეთის, საბურთალოს რაიონებში უფასო სასადილოების მონიტორინგის შესახებ.

2. უფასო სასადილოებში სანიტარული მდგომარეობის და სატენდერო მენიუს შემადგენლობის შესახებ.

#-4

1. მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ანგარიში.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის" ხედვა კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მუშაობასთან დაკავშირებით (ტენდერების, გზების, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის აღდგენა-რეკონსტრუქციის შესახებ) .

#-5

1. თბილისის განვითარების ფონდის თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის და ქალაქის განვითარების სტრატეგიის შესახებ.

#-6

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ.

#-7

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ანგარიში 2016 წლის 6 თვის გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" - ხედვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის არსებული მდგომარეობის შესახებ.

#-8

1. მაჟორიტარი ბიუროს მუშაობაში საკრებულოს პროპორციული წესით არჩეული დეპუტატების ჩართულობის შესახებ.

#-9

1. ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2016წ. ანგარიში.

პატივისცემით,

საკრებულოს წევრი /რამინა ბერაძე/ (ხელმოწერა)